პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990
20 თებერვალი
შაბათი
№22 (6249)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

აზრთა ჭიდილში — ჭეშმარიტებისაკენ

საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტები გადმოგვცემენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიიდან

ყველაფერი თავისი ფესვებით პოლიტიკასთან არის გადახლართული. სწორედ პოლიტიკური განცხადებით დაიწყო პარლამენტის მუშაობა კრემლში 16 თებერვალს დილით. ამ დღეს პალატების გაერთიანებული სხდომა მიმდინარეობდა ა. ი. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით.

სესიის ტრიბუნიდან მიყურებული დარბაზისადმი იყო მიმართული დეპუტატ გ. ა. კომაროვის — ყირგიზეთის ეკოლოგიისა და ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მღელვარე სიტყვა. უკანასკნელი დროის მოვლენები, თქვა მან, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ქვეყნის, ჩვენი მრავალეროვნული სამშობლოს ბედის გამო. ჩვენში გაჩნდნენ ძალები, რომლებიც მზად არიან დაწვან ჩვენი საერთო სახლი, ოღონდ შემდეგ მის ნაკვერცხალზე ერბოკვერცხი შეიწვან. ამ ძალების მიზანი ნათელია, რა კეთილი ზრახვებითაც უნდა ინიღბებოდეს.

ამასთან დაკავშირებით ორატორმა განაცხადა, რომ წინა დღით ქვეყნის ყველა რეგიონისა და რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება დეპუტატთა ჯგუფის „კავშირის" შექმნის შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მან ჩამოაყალიბა ჯგუფის პოლიტიკური მიზნები: ბრძოლა სსრ კავშირის ფედერაციული წყობილებისა და სახელმწიფო მთლიანობის შენარჩუნებისათვის, წინააღმდეგობის გაწევა ქვეყანაში სეპარატიზმის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, მათი ყოველგვარი ფორმისა და გამოვლინებისათვის, მისწრაფება ფედერაციული სახელმწიფო მთელ ტერიტორიაზე ყველა ხალხის, ერის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფებისა და თითოეული მოქალაქის თანასწორუფლებიანი და თავისუფალი განვითარებისადმი.

ამ განცხადების შემდეგ დეპუტატებმა განაგრძეს სსრ კავშირის საკუთრების შესახებ კანონის პროექტის განხილვა. აზრთა მწვავე ჭიდილში სავსებით გასაგებია ზოგიერთი დეპუტატის მისწრაფება განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ კანონის ალტერნატიულ პროექტებს, შეგახსენებთ, რომ ასეთი პროექტი იყო სამი: „ლიტვის" „ლატვიის" და ეკოლოგიის კომიტეტის ვარიანტი.

ქართული აბრეშუმის ღირსებისათვის

თანდათან იზრდება იმ მეაბრეშუმეთა რიგები, რომლებიც აქტიურად ეხმაურებიან ინიციატივას ზეგეგმითი აბრეშუმის პარკის წარმოების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია ლუხვანელი საშა კოპალიანი, რომელიც რაიონის ისეთ მეაბრეშუმეთა რიცხვშია, რომლებმაც თავიანთი შრომით საქმიანობით დაამტკიცეს, რომ ჩვენთან, რაიონის პირობებში, ჩვენს ხელთ არსებული საკვები რესურსების გამოყენებით, შესაძლებელია გადალახო ასკილოგრამიანი მიჯნა და სამშობლოს აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი მიჰყიდო.

საშა კოპალიანი ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს აგროუბნის მოწინავე მოიჯარის ლადო ხაბულიანის მეუღლეა. ეს შრომით გამორჩეული ოჯახი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს შრომით საქმიანობაში, მონდომებით უვლიან 0,15 ჰექტარ ვენახს, 0,4 ჰექტარ სასიმინდე ყანას და ამასთან ერთად აბრეშუმის პარკის სარეკორდო მოსავლის მიღებასაც ახერხებენ.

ეცნობი რა ოჯახის მიერ მოწეული მოსავლის სამი წლის მაჩვენებლებს და ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ დიდია ძალა დაინტერესების, რაც შესაძლებლობის მაქსიმალური გამოვლინების საშუალებას აძლევს საქმიან ადამიანებს.

მიმდინარე ხუთწლედის მეორე, 1987 წელს საშა კოპალიანს 25,5 კილოგრამი აბრეშუმის პარკი აქვს ჩაბარებული, 1988 წელს გეგმით 56 კილოგრამი უნდა ჩაებარებინა და 134 კილოგრამი ჩააბარა, ხოლო გასულ, 1989 წელს 95 კილოგრამის ჩაბარება იკისრა და 155,8 კილოგრამი პარკი მიიტანა დამამზადებელ პუნქტში. კითხვაზე, თუ რამდენი კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარება აქვს გადაწყვეტილი მიმდინარე, ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის, მოწინავე მეაბრეშუმემ გვიპასუხა, უკვე ორი წელია, რაც 100 კილოგრამიან მიჯნას გავცდი და 150 კილოგრამსაც გადავაჭარბე. ახლა ჩემთვის ალარავითარი სიძნელეს არ წარმოადგენს აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მიღება, სულ გასული სამი წლის მანძილზე 316 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მაქვს მიღებული, მიღწეული ზღვარი არაა და შევიტყვე რა, რომ ქართულ აბრეშუმს დიდი მოთხოვნილება აქვს საერთაშორისო ბაზარზე და მიღებული მოსავალი სჭირდება რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მცირეოდენი წვლილი ჩემიც მინდა იყოს ამ დიდ საქმეში და მიმდინარე წელს გადავწყვიტე უფრო მეტი შრომა გავწიო მოვინდომო და ქვეყნის ბარაქას 160-170 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი შევმატოო.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია წარმატება ვუსურვოთ ქვეყნის ბარაქაზე მზრუნველ მშრომელ ქალს.

კოსმოსურ ვახტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 15 თებერვალი (საკდესი). მესამე დღეა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ერთობლივ მუშაობას ეწევიან ალექსანდრე ვიქტორენკო, ალექსანდრე სერებროვი, ანატოლი სოლოვიოვი და ალექსანდრე ბალანდინი.

„მირ" კომპლექსის „ძველი ბინადარნი" განაგრძობენ ცვლის გადაცემას ახალი ეკიპაჟისათვის. დღეს, კერძოდ, ისინი თავიანთ ამხანაგებს აცნობენ სამეცნიერო აპარატურის განლაგებას, რომელიც სატვირთო ხომალდებმა ჩამოიტანეს და დადგმულია საბაზო ბლოკში და „კვანტ-2" კმაგაწყობის მოდულში.

გეოფიზიკურ გამოკვლევათა პროგრამის ფარგლებში დილით კოსმონავტებმა შეასრულეს დედამიწის ატმოსფეროს ოპტიკურ მახასიათებელთა შეფასების ექსპერიმენტი.

გრძელდება სამუშაოები ... ტექნოლოგიურ ... გეგმით. „რუბ..." ... რეზულ დანადგარზე დაგეგმილია შესრულდეს კიდევ ერთი ექსპერიმენტი ინსულინის გასაწმენდად და ეს პროცესი ჩაიწერება საბორტო ვიდეომაგნიტოფონზე.

იმ მიზნით, რომ შემდგომ შეისწავლონ, რა გავლენას ახდენს არაერთგვაროვანი მაგნიტური ველი კოსმოსური ფრენის პირობებში უმაღლეს მცენარეთა განვითარებაზე, საღამოს დაიწყება ბიოლოგიური ექსპერიმენტი „მაგნიტოგრავისტატი".

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ორბიტიდან მოხსენებების თანახმად, „მირ" პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს, ოთხივე კოსმონავტი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

გამოქვეყნდა სსრ კავშირის სტატსახკომის ცნობა

1989 წელს ხორციელდებოდა ღონისძიებანი ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის, მისი სოციალური ხელახალი ორიენტაციისა და ფინანსური გაჯანსაღებისათვის, ნათქვამია სსრ კავშირის სტატსახკომის ცნობაში 1989 წელს სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. დაჩქარდა მოხმარების საგნების გამოშვების მატება წარმოების საშუალებებთან შედარებით.

განვლილ წელს გაიზარდა (ფასების ფაქტობრივი ცვლილების გამოვლენის გამორიცხვით) მთლიანი ეროვნული პროდუქტი 3 პროცენტით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 2,4 პროცენტით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 2,3 პროცენტით, ფართოვდება მეურნეობრიობის ახალი ფორმების გამოყენება. გასული წლის ბოლოსათვის სანარდო იჯარით მუშაობდა 1332 სამრეწველო საწარმო, 731 სამშენებლო ორგანიზაცია, 4911 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, 988 საცალო ვაჭრობის საწარმო, 1043 საზოგადოებრივი კვების საწარმო, 138 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო და სხვ.

ამავე დროს ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში კვლავ რთულია. გაიზარდა დაძაბულობა სამომხმარებლო ბაზრებზე. შემცირდა ეკონომიკის განვითარების დინამიზმი. მრავალი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლი-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

გაზაფხულს — მომზადებული შეხვედრა

თესლიც, ტექნიკაც

უჩვეულოდ თბილი მზიანი დღეებით დაიწყო თებერვალი და რაიონის სოფლის მშრომელებს ყოველგვარი საშუალება აქვთ საგაზაფხულო სამუშაოებს მომზადებული შეხვდნენ, მოიმარაგონ ჭიგო, სასუქებით გაანოყიერონ ზვრები და სასიმინდე ყანები.

საქმიანი ფუსფუსია ცაგერის კოლმეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკში, მექანიზატორები თავიანთი ძალებით არემონტებენ ტექნიკას—სულ პარკში 11 სხვადასხვა ტიპის ტექნიკაა, აქედან 3 სახნავი ტრაქტორია. ტრაქტორები უკვე მწობრში ჰყავთ ოლეგ ზალინაძეს და მალხაზ ლიპარტელიანს, ხოლო ტრაქტორი, რომელსაც სოზარ კოპალიანი მართავს რემონტშია და მექანიზატორები თვითონვე მუშაობენ სარემონტო სამუშაოებზე. მალე ისიც მწყობრში ჩადგება და კარსმომდგარ გაზაფხულზე სამი ტრაქტორი შეუდგება ხვნას.

კოლმეურნეობაში გაზაფხულისათვის მომზადებული აქვთ 60 ცენტნერი სიმინდისა და 10 ცენტნერი ლობიოს თესლი. სპეციალისტების აზრით მარცვლეულის სათესლე მასალა სრულიად ვარგისია, მაღალკონდიციური და პირველი კლასისაა.

რემონტი ჭიანურდება

ზამთარი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ახლა ძალების მოდუნება, მოვლენებისადმი პასიური ლოდინი კი არა აქტიური მოქმედება, როგორც არასდროის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებაა აუცილებელი, რომ არ ჩამოვრჩეთ და რესპუბლიკისა თუ რაიონის ეკონომიკურ განვითარებაში ყველამ ჩვენ-ჩვენი სიტყვა ვთქვათ.

არადა საქმე უამრავია, ზამთარი უკანასკნელ დღეებს ითვლის, მზადყოფნაშია მოსაყვანი ტექნიკა, დასამზადებელია ვაზის საყრდენი მასალა, თუ არ ვიჩქარეთ, ყოველი დაგვიანება ძვირი დაგვიჯდება.

ლასურიაშის კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები 170 ჰექტარზე უნდა დაითესოს, სამუშაო შესრულებული იქნება ძირითადად ტრაქტორებით, ფერდობები კი მუშა გამწევი ძალით დაიხვნება. სულ 5 სახნავი ტრაქტორია კოლმეურნეობის ბალანსზე, აქედან ჯერჯერობით მხოლოდ 2 ტრაქტორია მზადყოფნაში (ტრაქტორისტები მამუკა და გოჩა სვანიძეები), ხოლო სამი ტრაქტორი სარემონტოა, ეს საქმე დაჩქარებას ითხოვს.

კოლმეურნეობას ზემოთაღნიშნულ ფართობზე 80 ცენტნერი სიმინდის და 14 ცენტნერი ლობიოს თესლი სჭირდება. ლობიოს თესლი საჭიროებაზე მეტიც აქვთ, მაგრამ სიმინდის ჯერჯერობით სათესლე მასალა მომარაგებული არაა, მარტო იმის იმედზე ყოფნა, რომ მოიჯარეები გაზაფხულზე თავისივე თესლს გამოიყენებენ, არაფერს გვარგებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საოლქო საარჩევნო კომისიამ უკვე დაამთავრა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. წინაა დეპუტატობის

ხმის მიცემის წესი

კანდიდატებთან შეხვედრები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა; არჩევის უფლება აქვს საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილას ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობს ამომრჩევლებს არჩევნებამდე არაუგვიანეს ათი დღისა.

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობებში, რომლებშიც ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი უნდა იყოს საკმარ რაოდენობით კაბინები და ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მომცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მიმცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია, მათი თხოვნით, ავალებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა, ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

იყიდება კომუნალური საცხოვრებელი ბინები

1988 წლის 2 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეთათვის პირად საკუთრებაში ბინების მიყიდვის შესახებ". აღნიშნული დადგენილება უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში საბინაო პრობლემების გადაწყვეტას, რომ 2000 წლისათვის თითოეულ საბჭოთა ოჯახს ქონდეს დამოუკიდებელი ბინა ან ინდივიდუალური საკუთარი სახლი.

იხელმძღვანელა რა ზემოთ აღნიშნული დადგენილებით, ცაგერის საბინაო კომუნალურ საწარმოთა კომბინატის სახლმმართველობამ ამის შესახებ აუწყა რაიონის მშრომელებს გაზეთის საშუალებით 1989 წლის 24 აგვისტოს. მას შემდეგ რამდენიმე ათეულმა მოქალაქემ გამოთქვა სურვილი, რომ შეიძენდნენ ბინებს, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ. მათი თხოვნის გათვალისწინებით მოწვეული იქნა საქართველოს სსრ საბინაო კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებმაც თითოეული საცხოვრებელი სახლის (ბინის) პირობების გათვალისწინებით გააფასეს გასაყიდი ბინები და ამჟამად სახლმმართველობას ადგილზე აქვს აღნიშნული მასალები.

ზემოთაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, კომუნალური საცხოვრებელი ბინის (სახლის) შესყიდვის უფლება ენიჭება იმ მობინადრეებს, ვინც გასასყიდ ბინებში (სახლებში) ცხოვრობენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან ამორტიზებული ბინების (სახლების) შესყიდვაზე, დაკმაყოფილებული იქნებიან მშენებარე საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელ ფონდში რიგის მიხედვით, ხოლო (ბინები) გაიყიდება იმ პირებზე, ვინც ბინის მიღებისა და საბინაო პირობების გასაუმჯობესებელ რიგში არიან ამჟამად, თუ ისინიც უარს იტყვიან, საცხოვრებელი სახლები გაიყიდება ისეთ მოქალაქეებზე, რომლებსაც ჩვენი რაიონის პირობებში უფრო უჭირთ საცხოვრებელი სახლების უვარგისობის გამო.

როგორია შესყიდული ბინების ღირებულების გადახდის წესი? მყიდველს უფლება აქვს პირველად სახლის შესყიდვის დროს გადაიხადოს სახლის ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო დანარჩენი თანხა თანმიმდევრულად 10 წლის მანძილზე. ვისაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს შეღავათები (სამ შვილიანი ან მეტი) პირველ გადასახადს შეიტანს 30 პროცენტს, დანარჩენს გადაიხდის 15 წლის ვადაში... ბინა (სახლი) ითვლება მყიდველის საკუთრების უფლებაში გადასულად, როდესაც მთლიანად დაფარავს სახლის ღირებულებას. ამის შემდეგ აქვს მას უფლება გაყიდოს, გაასხვისოს, გააჩუქოს, უანდერძოს მას, ვისაც მას უნდა.

სახლის მყიდველ ერთ ოჯახზე არის დადგენილი ზღვრული ნორმა, საცხოვრებელი ფართი 90 კვადრატული მეტრი, 40 კვადრატული მეტრი დამხმარე ფართობი. ესე იგი სულ 130 კვადრატული მეტრი. თუ ოჯახი მრავალსულიანი არის და მას ესაჭიროება მეტი ფართი, რაისაბჭოს აღმასკომს უფლება აქვს გაუდიდოს მას შესასყიდი სახლის ფართობი, რაც არ უნდა აღემატებოდეს თითოეული ოჯახის წევრზე 12 კვადრატულ მეტრ ფართობზე მეტს.

საცხოვრებელი ბინების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრები ჩაირიცხება რაიონის ბიუჯეტში და მოხმარდება საცხოვრებელი ფონდის კაპიტალურ შეკეთებას, მშენებლობას და მოდერნიზაციას.

ბუნებრივია, ვინც არ მოისურვებს ბინის შესყიდვას, მათზე არავითარი დაძალება არ იქნება. ისინი ჩვეულებრივად გადაიხდიან ბინის ქირას, კომუნალური მომსახურების გადასახადს და იცხოვრებენ მათ განკარგულებაში არსებულ ბინებში.

რაისაბჭოს აღმასკომის მიერ შექმნილია კომუნალური საცხოვრებელი ბინების გაყიდვის კომისია (თავმჯდომარე—რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კვირკაშვილი),

(დასასრული მე-4 გვერდზე).

კანონის პროექტი პრესის შესახებ საბჭოთა ინფორმაციის

პლუსები და მინუსები

სიტყვის, პრესის თავისუფლება... სამწუხაროდ დიდი ხნის მანძილზე ქვეყნის ძირითადი კანონის მიერ გამოცხადებული ეს უფლება პრაქტიკულად მხოლოდ არაფრის მთქმელი სიტყვები იყო. პრესის და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონი, რომლის პროექტიც საჯარო განხილვისათვის არის გამოტანილი, მოწოდებულია, რათა კარდინალურად შეიცვალოს საქმის ასეთი მდგომარეობა. საკდესის კორესპონდენტმა ა. ალეხინმა თხოვნით მიმართა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს ვენის შეხვედრაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებათა ელჩს ი. ბ. კაშლევს საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით განემარტა ამ დოკუმენტის შინაარსი.

— ჰუმანიტარული დარგის საკანონმდებლო პოლიტიკაში ჩვენ უკიდურეს შემთხვევაში ორი ან ერთი ძირითადი მიზანი გვაქვს, — თქვა მან. — პირველი გამომდინარეობს ჩვენი საშინაო საქმეებიდან — ჩვენი გარდაქმნისა და დემოკრატიის განვითარების კანონზომიერებანი, ახალი კანონების მთელი სერიის საჭიროება, რომლებიც ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებებს ეხება, საქმის მეორე მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ვხელმძღვანელობთ რა ახალი პოლიტიკური აზროვნებით, ჩვენი საერთო საკაცობრიო სტანდარტების, ნორმებისა და იდეალებისაკენ ვისწრაფვით. და აქ, რასაკვირველია, დაიბადება ასეთი კითხვა: რამდენად ახლოს ან შორსა ვართ მათგან? თუ ჩვენ ავიღებთ ამჟამად მოქმედ კონსტიტუციას, მაშინ იგი მეტად დემოკრატიულია და საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის ცხოვრების მეტი წილი განისაზღვრა არა ლამაზად მყღერი კონსტიტუციური ნორმებით, და თვით კანონებითაც კი, არამედ სხვადასხვა სახის ქვეკანონების აქტებით. ამიტომ ჩვენი ამოცანაა ყოველივე ეს გადავიტანოთ კანონების დონემდე.

ადამიანთა უფლებათა შესახებ რიგი კატეგორიებით, რამდენადაც ისინი ჩვენს კონსტიტუციაშ გვაქვს ჩაწერილი, ჩვენ, რასაკვირველია, როდი ჩამოვრჩებით მსოფლიო გაერთიანებას. მხედველობაში ვიდებთ იმასაც, რასაც წინათ სოციალური უფლებები ეწოდებოდა. ამ დარგში სოციალიზმმა მართლაც მიაღწია გარკვეულ სიმაღლეებს, მაგრამ, სხვათა შორის, სოციალიზმის ბევრი გამოცდილება კაპიტალისტურმა საზოგადოებამაც გამოიყენა. მაგრამ რაც შეეხება პირად და მოქალაქეობრივ უფლებებს, ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით. ჩამოვრჩით იმიტომ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში ზოგადი ფორმით ჩაწერილი ეს თავისუფლებანი დღემდე არ იყო დაკანონებული.

პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონი ამჟამად განსახილველ სხვა კანონპროექტებს შორის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუნდამენტურია, რადგანაც იგი ეკუთვნის ეგრეთწოდებულ კონსტიტუციურ ანუ ორგანულ კანონებს, ესე იგი პირდაპირ კონსტიტუციის დებულებებიდან გამომდინარეობს. მაგრამ მას რეალური ცხოვრების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობაც აქვს. საჯაროობა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ნორმად არის გამოცხადებული, ჯერ კიდევ მრავალმხრივ ვერ ემყარება საკანონმდებლო აქტებს. ამიტომ გარდაქმნის, დემოკრატიზაციის მომხრეთა დიდი იმედები სწორედ პრესის შესახებ კანონთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ისინი უშუალოდ პრესის ფარგლებსაც სცილდება, რადგანაც ზოგიერთი მისი მუხლი ეხება სიტყვის თავისუფლებას, აზრის გამოთქმის თავისუფლებას და სხვა.

მთლიანად დოკუმენტი მეტად დემოკრატიულია და ყველაზე მაღალ საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა. მაგალითად, მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია და მათი ცენზურა დაუშვებელია. პროექტის, მეტად ძლიერ მხარედ მიაჩნიათ აგრეთვე რაიმე სახის ინფორმაციაზე. ქვეყნის, რესპუბლიკის, ცალკეული რეგიონის მასშტაბით მონოპოლიზაციის აკრძალვა.

რამდენადაც ჩვენი საუბრის თემა — საერთაშორისო ნორმებთან კანონ-პროექტის შესაბამისობაა, შემიძლია ვთქვა: უცხოურ დოკუმენტებში საკითხი იმის შესახებ შეუძლიათ თუ არა ცალკეულ მოქალაქეებს იქონიონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არ იხილება. იგი არ არის არსად ფიქსირებული — არც ვენის შეთანხმებაში, არც საერთაშორისო პაქტებში. ეს პრობლემა, როგორც წესი, რეგულირდება სულ სხვა სიბრტყეში — ეროვნულ კანონებში საკუთრების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა, ჩვენი საერთო პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეებს აქვთ საკუთარი ინფორმაციის ორგანოს დაარსების უფლება. მაგრამ, ფრანგი ჟურნალისტები, მაგალითად, ამის შესახებ ასე ხუმრობენ: საფრანგეთში ყოველ მოსახლეს ისევე შეუძლია გამოსცეს საკუთარი გაზეთი, როგორც საკუთარი კავშირგაბმულობის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. სინამდვილეში პირადად მე ვერ წარმომიდგენია, რომ ერთმა ადამიანმა, თანაც ჩვენს პირობებში, ინფორმაციის რაიმე ორგანო შექმნას. რასაკვირველია, საქმე ფურცლებს როდი ეხება.

გულახდილად რომ ვთქვათ, არ მესმის, რატომ ატყდა ასეთი ხმაური ამ დებულების გარშემო? ხომ შეუძლიათ ორ-სამ კაცს კოლექტიურად გაერთიანდნენ და გამოსცენ თავიანთი ინფორმაციის საშუალება. სამწუხარო იქნება, თუ ასეთი კონკრეტული გაგების გამო კანონის მიღება დაბრკოლდება. ამჟამად იგი ჩვენ აუცილებლად გვჭირდება.

კარგი შენაძენი

ლ. ჩიქოვანის წიგნი „ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში“

45 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა დიდი სამამულო ომი. რაც უფრო მეტი დრო გადის იმდენად უფრო ვლინდება ის შემაძრწუნებელი ფაქტები, რასაც ფაშისტური გერმანიის ჯარის ნაწილები ჩადიოდნენ საბჭოთა მიწა-წყალზე. საბჭოთა ხალხი არასდროს დაივიწყებს იმ ტიტანურ ბრძოლას და შრომას, რაც საბჭოთა ხალხსა და მის წითელ არმიას გადახდა 1941-45 წლებში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, ახალგაზრდობა, წითელი კავალმაძიებლები საგრძნობ მუშაობას ეწევიან, რომ გამოავლინონ და ღირსეული პატივი მიაგონ საბჭოთა მეომრებს, რომლებიც ღირსეულად ასრულებდნენ პატრიოტულ ვალს—დაეცვათ სამშობლო გერმანელი ფაშისტებისაგან, ყველაფერი ეღონათ საზიზღარ მტერზე გამარჯვებისათვის.

ჩვენმა ქვეყანამ და მისმა გმირულმა წითელმა არმიამ არა თუ შეასრულა ეს მოვალეობა, გადამწყვეტი როლი ითამაშა მსოფლიოში ფაშიზმის აღსაკვეთად და გაათავისუფლა ევროპის ხალხები ფაშისტური მონობისაგან. ამას არასდროს დაივიწყებს მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება.

ამ რამდენიმე დღის წინ გამოვიდა და ჩვენს წიგნის მაღაზიაში გაიყიდა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილის, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანის წიგნი „ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში“. რაც დიდი შენაძენია ჩვენი მკითხველისათვის.

როგორც ცნობილია მთელი საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის მესამედი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, აქედან თითქმის ნახევარი დაეცა ბრძოლის ველზე, ასევე ისეთი მცირე კუთხიდან როგორიც ცაგერის რაიონია 7 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მათ შორის 3 ათასზე მეტი ვერ დაბრუნდა, რომლებმაც თავიანთი ყველაზე უძვირფასესი სიცოცხლე დასდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გავსებულია საბჭოთა მეომრების ნეშტებით, მათ შორის ჩვენი რაიონის წარგზავნილებითაც მოლდავეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილო კავკასიის საძმო საფლავები.

აღნიშნული წიგნი მკითხველს აცნობს ჩვენი რაიონის მშრომელების გაწეულ შრომას დიდი სამამულო ომის პერიოდში. წიგნში კარგად არის გამოკვეთილი მებრძოლების, დაწყებული გენერლებიდან დამთავრებული რიგით მეომრებამდე, ღვაწლი, შრომა და ბრძოლა.

გული ნუ დასწყდებათ იმ ამხანაგებს, რომლებიც აღნიშნულ წიგნში არ არიან მოხვედრილი. ჩვენ იმედი გვაქვს რომ მომავალ წელს გამოვა ამ წიგნის მეორე ნაწილი, რომელშიდაც უფრო ვრცლად იქნება გაშუქებული იმ მებრძოლთა ღვაწლი ვინც უკვდავება დაიმსახურა, დევიზი „არავინ და არაფერია დავიწყებული“ ჯერჯერობით ძალაში რჩება.

რაც შეეხება წიგნის ტირაჟს—3000 ცალი ძალზედ მცირეა, რადგანაც წიგნის გამოჩენისთანავე რიგი გაჩნდა მაღაზიაში და—რიგის ყველა ცალი მაშინვე გაიყიდა. ეს ადასტურებს წიგნის ავ-კარგს და ავტორის დამსახურებას.

რადგანაც წიგნი პირველად გამოიცა, შეიძლება მას ხარვეზები ჰქონდეს, მაგრამ იგი ოდნავადაც ვერ გადაჩრდილავს ავტორის ღვაწლს.

ჩვენ, სამამულო ომის ვეტერანები დიდი მადლიერების გრძნობით ვაფასებთ ლევან ჩიქოვანის შრომას. წიგნი მარტო ჩვენთვის კი არაა ვინც ცოცხლები ვართ, საჭიროა მომავალი თაობის აღზრდისათვის. გაივლის წლები და ჩვენ არ ვიქნებით ამ ქვეყნად, მაგრამ ეს წიგნი გააცნობს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, ლეჩხუმელ მშრომელებს წინაპართა ვაჟკაცურ შემართებას.

კოსტა სიღაგაძე,
ომისა და შრომის ვეტერანი.

გამოქვეყნდა სსრ კავშირის სტატისტიკის ცნობა

(დასასრული).

ური გეგმა ვერ შესრულდა. სახელმწიფო შინაგანი ვალი 400 მილიარდ მანეთს მიუახლოვდა. მიმოქცევაში გამოშვებულმა ფულმა 56 პროცენტით გადააჭარბა 1988 წლის დონეს და 18 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაუარესდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა გაცდენა, მოცდენა, კადრების დენადობა. განვლილი წლის მანძილზე ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში გაფიცვების შედეგად დაკარგულია შვიდი მილიონ კაცდღეზე მეტი.

გასულ წელს აშენდა 128,1 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 2,2 მილიონი ბინა. მიმდინარე ხუთწლედის წლების მანძილზე პირველად ვერ შესრულდა ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა მთლიანად ქვეყანაში. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 4,3 მილიონი კვადრატული მეტრით ნაკლები საცხოვრებელი სახლები, ვიდრე წინა წელს.

სამრეწველო წარმოების მატებამ 1989 წელს 1,7 პროცენტი შეადგინა.

აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის საერთო მოცულობამ შეადგინა 475 მილიარდი მანეთი (შესადარი ფასები) და 1988 წელთან შედარებით გაიზარდა 1,9 პროცენტით. მიღწეული არ არის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გათვალისწინებული ზრდა.

გასულ წელს სოფლის მეურნეობამ 1988 წელთან შედარებით, ნაკლები მიიღო ტრაქტორები, სატრაქტორო კულტივატორები, ნიადაგში მინერალური და მყარი ორგანული სასუქების შესატანი მანქანები, სილოსის ასაღები და საკვების ასაღები კომბაინები, საწველი დანადგარები და ბამბის ასაღები მანქანები.

სსრ კავშირის სტატისტიკომის ცნობაში აღნიშნულია, რომ ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმიდან და სსრ კავშირის ბიუჯეტიდან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დადგენილებიდან, მოითხოვს ყველა შრომითი კოლექტივის მუშაობის შედეგიანობის გაზრდას. მხოლოდ კეთილსინდისიერი, დიდნაყოფიერი შრომა შეიძლება გახდეს 1990 წლის დაძაბულ დავალებათა წარმატებული შესრულების საწინდარი და შექმნას მეცამეტე ხუთწლედში ქვეყნის ეფექტიანი განვითარების მატერიალური წანამძღვრები.

(საკდესი).

ინტეგრირებული ბრძოლა ხეხილის მავნებლების მიმართ ადრე გაზაფხულზე

უკანასკნელ წელს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ძლიერ გავრცელდა ხეხილის მავნე მწერები: კალიფორნიის ფარიანა, იისფერი ფარიანა, ბურტყლა ბუგრი, წითელგალებიანი და მწვანე ბუგრები, რომლებიც იწვევენ მცენარის გაუფერულებას, დაზიანებული ნაწილების დაგრეხვას, დახუჭუჭებას, დანაოჭებას, კორძების გაჩენას და გახმობასაც კი.

ფარიანები—აზიანებენ შტამბს, ტოტებს, ყლორტებს, ნაყოფს და ფოთლებს. ნაწუწნ ადგილებში ქერქი სკდება და ცვივა, ასეთი დაზიანებული ხეები ხმებიან.

ბურტყლა—ბუგრი აზიანებს მცენარის ყველა ორგანოს, ღეროს, ტოტს, ყლორტს, ფოთოლს, ნაწუწნი ადგილები ბურცდება, კოერდება და ბოლოს კანი სკდება. ვაშლის ხეების დაზიანებული ადგილები დაფარულია თეთრი ბურტყლით—ცვილით.

მსხლის ფსილას მატლები და ნიმფები აზიანებენ კვირტს, ყვავილის ყუნწს, ფოთლებს და ყლორტს, რაც იწვევს მცენარის საერთო დასუსტებას. ისინი პირდაპირი ზიანის გარდა მცენარეს არაპირდაპირ ზიანსაც აყენებენ. მატლების და ნიმფების გამონაყოფზე სახლდება გამომწვევი სოკო, რითაც მცენარის ბაგეები იხურება და ეკარგება სუნთქვის და ფოტოსინთეზის უნარი.

წითელგალებიანი და მწვანე ბუგრები ძირითადად იკვებებიან ფოთლებით, სანამ ისინი გაუხეშდებოდნენ, მწვანე ბუგრების ნაწუწნი ფოთლები იკრუნჩხება, ყლორტები იგრიხება.

წითელგადებიანი ბუგრების მიერ დაზიანებული ადგილები იფარება წითელი გალებით, ძლიერ დაზიანებული ფოთლები, ნასკვები და ნაყოფები ნაადრევად ცვივა, ამავე დროს მცენარეში ხდება ფიზიოლოგიური ცვლილებები, ქლოროფილი და ქსანტოფილი მცირდება, ხოლო კაროტინი ჭრება.

ბრძოლის ღონისძიებანი: აღნიშნული მავნებლის მიმართ უნდა ჩატარდეს ინტეგრირებული (ბიოლოგიური და ქიმიური მეთოდების შეთანწყობა) ბრძოლა. ინტეგრირებულ ბრძოლას საფუძვლად უნდა დაედვას მავნებლის ეკონომიური და ბიოცენოლოგიური ზღვარი. (რომლის განსაზღვრა რაიონებში—მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ენტომოლოგის მიერ უნდა ხდებოდეს) აღნიშნული ზღვრის საშუალებით მკაცრად იქნა რეგლამენტირებული პესტიციდების გამოყენების დრო, პირობები და ვადები.

პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ფარიანების მიმართ ღონისძიების (ქიმიურის) გატარებას—არის მისი გავრცელება ე. ი. კრიტიკული რიცხობრიობა.

ხეები უნდა შესხურდეს პრეპარატ №30-ის 5 პროცენტიანი ემულსიით (5 პროცენტიანი სამუშაო ემულსიის დამზადებისას ყოველ 95 ლიტრ წყალზე აიღება 5 კილოგრამი ზეთის კონცენტრატი). აღნიშნული წამლობა უნდა ჩატარდეს თესლოვან ხეხილზე კვირტების გახსნამდე, ხოლო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

„ერის წყლული გვაჩნდეს წყლულად“

ქართველებს მოთმენისა და პატიების უნარი არასდროს დაგვიკარგავს, მაგრამ ორბელის ახალგაზრდობას ყოველგვარი მოთმენის უნარი დაგვიკარგა ცქერამ ოდესღაც ოფლის ფასად მოტაწილი ქვებისა, რომლებიც ასე გულსაკლავად დაყრილია სოფლის ცენტრში. როდემდე უნდა გვქონდეს „ვიღაცის“ ხათრი და რიდი?

დღემდე ის მაინც გვანუგეშებდა, წყალი რომ იყო, ახლა კი აღარც წყალი მოდის, დაანგრიეს ქვის ნაგებობა, რომელიც წყაროს დეკორატიულ სახეს უქმნიდა, რომელიც 1951 წელს იყო აგებული. ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია, დაგებადებათ კითხვა: ვინ დაანგრიაო?

ამ კითხვაზე ჩვენ გაგცემთ პასუხს: თვითონ ჩვენივე სოფლის მკვიდრებმა.

1988 წელს დაიწყო აქვე „რაღაც“ ობიექტის მშენებლობა, მაგრამ არა გვგონია მე-20 საუკუნეში დამთავრდეს ამ ობიექტის მშენებლობა.

დღეს, როდესაც ყოველი ქართველი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ვოცნებობთ, როცა საქართველოს მომავალი წარმტაცად გვესახება, ასეთი უყურადღებობით, გამოჩენილი უგულისყურობით შევძლებთ მიზნის მიღწევას? დადგა 1990 წელი, მაგრამ რატომღაც არა მგონია ჩვენი „უფროსების“ დანაპირები შესრულდეს.

ჩვენც იმედის თვალით შევყურებთ მომავალს.

ს. გურჯალიანი.
ნ. გურგუჩიანი.

სიახლენი საპენსიო კანონმდებლობაში

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა — ითვალისწინებს თუ არა კანონი რაიმე ცვლილებას სამამულო ომის ინვალიდებისათვის დანიშნულ პენსიის ოდენობაში?

პასუხი: სამამულო ომის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდობით დანიშნულ პენსიებს ამჯერად მომატება არ ეხებათ. 1989 წლის 1 ოქტომბრიდან პენსია გაუდიდდათ მხოლოდ იმ ომის ინვალიდებს, რომელთაც აქვთ სათანადო შრომის სტაჟი და იღებენ მოხუცებულობის პენსიას. ამ შემთხვევაში მათ პენსია თვეში 15 მანეთით გაუდიდდათ მოხუცებულობის გამო პენსიების დადგენილი მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად, რაც არ იყო გათვალისწინებული ადრე მოქმედი კანონმდებლობით. თუმცა მოხუცებულობის პენსია 15 მანეთით მათ იდრეც უდიდდებოდათ, მაგრამ მხოლოდ მოხუცებულობის პენსიის მაქსიმუმის (120 მანეთის) ფარგლებში.

ინტეგრირებული ბრძოლა ხეხილის მავნებლების მიმართ ადრე გაზაფხულზე

(დასასრული).

კეროლანებზე კვირტების დაბერვამდე. ამ პერიოდში დაზამთრებული ფარიანა იღვიძებს და შხამის მოქმედება ეფექტურია. ხოლო ბუგრების და ფსილების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა მათი კრიტიკული რიცხობრიობა საშუალოდ ერთ ფოთოლზე 6-9 ცალია (დაბალ რიცხობრიობაზე წამლობა არ ჩატარდება). შესხურება უნდა მოხდეს კოკრების გამოჩენიდან ყვავილობამდე ბი-58-ის 0.1 პროცენტი ემულსიით.

ბურტყლა ბუგრის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი, მისივე მწერპარაზიტი აფელინუსი. რადგან ბურტყლა ბუგრისა და აფელინუსის ბიოცენოლოგიური ხლვარი ბუნებაში ძლიერ დაბალია, ამიტომ ხელოვნურად უნდა მოხდეს ბაღში მისი გავრცელება. შემოდგომაზე პარაზიტის გავრცელების კერებში იჭრება ბურტყლა ბუგრის კოლონიებით დაფარული 20-25 სმ სიგრძის ტოტები და შეინახება სარდაფში, სადაც ტემპერატურა 8 გრადუსს არ აღემატება, ხოლო გაზაფხულზე სარდაფიდან გამოაქვთ და ჰკიდებენ ვაშლის ვარჯში, სადაც ბურტყლა ბუგრი ძლიერ არის მოდებული (ერთ ჰექტარზე საჭიროა 1000-მდე პარაზიტი).

აღნიშნული ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების გატარებით დავიცავთ ხეხილის ბაღებს ამ საშიში მავნებლებიდან და ვაწარმოებთ მაღალხარისხოვან სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ ხილს.

ნანული შალამბერიძე,
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეზობლები კოოპერაციაში გაერთიანდნენ



მარეთის ახსრ. ურთიერთხელსაყრელი გარიგება დადეს თაფლის წარმოების კოოპერატივის მეფუტკრეებმა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ეს მეურნეობა სპეციალიზებულია სამყურის ელიტური თესლის მიღებაზე. სამყურას აქ 500 ჰექტარი უჭირავს. ადრე ეს კულტურა ზარალიანი იყო. გასული წლიდან, როცა დაიწყო თანამშრომლობა მეზობლებთან, იძლევა მნიშვნელოვან მოგებას. მეფუტკრეებმა 1000 სკა განალაგეს სამყურას მინდორზე და შრომისმოყვარე მწერები ამტვერიანებენ ყვავილებს. მეურნეობამ მეფუტკრეებს 40 ათასი მანეთი გადაუხადა, სამაგიეროდ თითოეული ჰექტარიდან 90 კილოგრამი წითელი სამყურის ელიტური თესლი მიიღო (ადრე მოსავლიანობა 30 კილოგრამს არ აღემატებოდა), და შემოსავალმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა დანახარჯებს.

სურათზე: სკები განლაგდა საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე. საქდესის ფოტოქრონიკა.

კეთილი ადამიანი

რაიონის ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ნაკურალეში, თავისი ბუნებრივი არახელსაყრელი პირობებით ბევრ სირთულეს უქმნის სოფლის მშრომელებს, ეს განსაკუთრებით ზამთრის თვეებში იგრძნობა, როცა სოფელი მოწყვეტილი არის რაიონის ცენტრს და უჭირს მას მოხუცების ამარა დარჩენილს.

მიმდინარე წლის 28 იანვარს ცუდად გავხდი. საჭირო და აუცილებელი იყო ექიმი, ჩემდა საბედნიეროდ დროულად მოვიდა გამოძახების შემდეგ ექიმი ჯონი გოლეთიანი, რომელიც ნაკურალეშის საექიმო ამბულატორიაშიც მუშაობს. მან აღმომიჩინა პირველი დახმარება, გამომიწერა სხვადასხვა წამლები, მაგრამ მისვლა-მოსვლა ჭირდა დიდი თოვლობის გამო. პირადად მე და ჩემი მომვლელები მწარე საგონებელში ჩავარდით. რა გვექნა არ ვიცოდით, ფიქრებიდან მაშინ გამოვედი, როცა ჩემი სახლის კარები კვლავ ჯონი ექიმმა შემოაღო. მომიტანა საჭირო წამლები, მიმკურნალა, დამაიმედა. გული გამიმაგრა. რწმენა და იმედი ჩამინერგა, მისი წყალობით არის რომ დღეს ფეხზე ვდგავარ. ჯონი ექიმი ჭკვიანური, კეთილი თვისებებით სავსე ადამიანია. იგი ადამიანების მოყვარული, ავადმყოფებისათვის დიდი იმედის მიმცემი და მათი ნამდვილი მკურნალია.

ყველა ნაკურალეშელის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო გულისხმიერ ექიმს. დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ.

ივანე გოლეთიანი,
დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, სოფ. ნაკურალეში.

სპეციალისტები გვირჩევენ

ცივ ამინდში ფრინველის კვების შესახებ

კვერცხისმდებელი ქათმის მაქსიმალური პროდუქტიულობის მისაღწევად აუცილებელია საფრინველეში შენარჩუნებულ იქნეს ტემპერატურა +20 გრადუსიდან +23 გრადუსამდე ცელსიუსით, ამასთან როცა ფრინველები აღწევენ კვერცხმდებლობის პიკს, წინახანებში უნდა ვიყოლიოთ ცელსიუსით 21—22 გრადუს ტემპერატურაში. მაქსიმალური პროდუქტიულობის პერიოდში ეფექტიანი კვერცხმდებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საფრინველეში ჰაერის ტემპერატურა თანდათანობით გავზარდოთ მას შემდეგ, რაც კვერცხმდებელი ქათმები 28-32 კვირის ასაკს გადააცილებენ. ამასთან ერთი გრადუსით ტემპერატურის მომატებას თან უნდა ხლდეს საკვების მოხმარების შემცირება 0,07 კილოგრამით 100 კვერცხმდებელ ქათამზე დღე-ღამეში.

ფრინველის შებუმბვლის მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იყოს მის ჯანმრთელობაზე, ზრდისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა, კვერცხმდებელთა სადგომში ფრინველის რაოდენობა და საკვების ხარისხი, გავლენას ახდენს ცვლად ენერგიაზე ქათმის სადღეღამისო მოთხოვნილებაზე. ცელსიუსით +22 გრადუსი ტემპერატურის დროს კარგად შებუმბლული კვერცხმდებელი ქათმების მოთხოვნილება ცვლად ენერგიაზე შეადგენს 308 კილოკალორიას თითოეულ ფრთა ფრინველზე დღე-ღამეში, ხოლო ცუდად შებუმბლულისა —დღე-ღამეში 330 კილოკალორიას.

კარგად შებუმბვლის უზრუნველსაყოფად კვერცხის მდებელი ქათმის რაციონში შეტანილი უნდა იქნეს საკმაო რაოდენობის მეთიონი, ცისტინი, ნატრიუმი, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

ცუდი კვება კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც უარყოფითად მოქმედებს კვერცხმდებელი ქათმების მიერ საკვები ნივთიერებების გამოყენებაზე. 32 კვირის ასაკის მიღწევის შემდეგ ფრინველი მომწიფებული ხდება და შეუძლია აითვისოს საკვები ნივთიერებები სპეციალისტების მიერ რეკომენდებული რაოდენობით.

მოზრდილი ფრინველის შენახვისას საკვების მოხმარებაზე კონტროლი უნდა განხორციელდეს კვების პერიოდების დროის დაახლოებისა და კვების რაოდენობის შემცირების მეშვეობით. კვერცხის ნაჭუჭის გამძლეობის შენარჩუნების მიზნით ფრინველი უნდა ვკვებოთ ოთხი საათის განმავლობაში განათების გამორთვის შემდეგ. ფრინველის მიერ 34-38 კვირის ასაკის მიღწევის შემდეგ კვების ხანგრძლივობის შესამცირებლად რეკომენდებულია საფრინველეებში დაინერგოს პერიოდული განათება. ამასთან ფრინველი უნდა მივაჩვიოთ მთელი რაციონი შეჭამოს საკვებურში დღის დასაწყისში. პერიოდული განათება ხელს უწყობს აგრეთვე კვერცხმდებელი ქათმების აქტიურობის შეზღუდვას და ამით საკვებ ნივთიერებებზე მოთხოვნილების შემცირებას.

იყიდება კომუნალური საცხოვრებელი ბინები

(დასასრული).

რომელსაც უფლება აქვს სამინისტროს მიერ შეფასებული გასასყიდი ბინების (სახლების) ღირებულებაში შეიტანოს ხაქიროების შემთხვევაში ადგილზე შემოწმების შედეგად ცვლილებები მეტი ან ნაკლები 0,98 პროცენტიდან 1,15 პროცენტამდე. ბინის ფიზიკური და მორალური ცვეთის შესაბამისად.

კეთილმოწყობილი ბინის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულებაა 142 მანეთი, საერთო ფართობის კეთილმოუწყობელის— 31,3 მანეთი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ცაგერის საბინაო კომუნალური მეურნეობის სახლმმართველობას ნებისმიერ დროს, ან დარეკოთ ტელეფონებზე — 29-07, 27-91.

ველით ბინის მყიდველების მიერ გამოხმაურებას.

პ. სილაგაძე,
ცაგერის საბინაო კომუნალური მეურნეობის სახლმმართველი.

დედა კატო, შვილები ეკა, სოსო, ძმები შოთა, შალვა, დები ნათელა, თინა, დარეჯანი, ქეთინო, რძლები ნაზი, ნელი, სიძეები შოთა გუგავა, ოთარ ზურაბიანი, ბუხულა ონიანი, ავთო ეფაძე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან სამსონის ძე ფოჩხიძე.

დაკრძალვა 22 თებერვალს, ხუთშაბათს სოფ. ჩხუტელში.

გაზეთ „კომუნიზმის სხივის" რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი თანაუგრძნობს თინა, მირიან, ფათქუ ახვლედიანებს ძმისა და ბიძის

ამირან სამსონის ძე ფოჩხიძის

გარდაცვალების გამო.

კარლო ქარსელაძე, შახმან გუგავა, ბორის დაშნიანი, ჯუსტან კვირკაშვილი, ზაურ ჩაფრავა, შიო ლეთოდიანი თანაუგრძნობენ შალვა ფოჩხიძეს ძმის

ამირან ფოჩხიძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ქეთო ჯაბურიას დის

დარიკო გრიგოლის ასული თევდორაძე-ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები ბორის მიქაძე, მიტროფანე სტურუა, ბონდო ქაბუკიანი, ზურაბ ხეცურიანი, გრიშა ყურაშვილი, ჯონი ხალიანი, როინ სილაგაძე, მერაბ ცვარიანი, რეზო ბურჯალიანი, გულვერ ჰიღვარია, ზაირა სილაგაძე, იგრან მოწონელიძე, რეზო კორძაია, ზურაბ კვირკაშვილი, ნანი ხაბულიანი, ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ამირან სამსონის ძე ფოჩხიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-8, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23.

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შაკვეთა 1 ინდექსი 66589, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.